



REGULATED ECONOMIC AREAS - HOSTAGE OR SURVIVOR OF REGULATION



LASHA MGELADZE

PHD in Economics

E.mail: lmgeladze@gmail.com

Tel: (+995) 577229889

ABSTRACT

The paper refers to regulated economic areas. The article discusses the need for regulated economic sectors, regulatory legal and existence of regulatory institutions in those sectors. Article discusses rationale of regulatory systems and question of effectiveness of the regulatory mechanisms, that have been introduced during the period of industrialization, is addressed as well. To what extent do these regulatory mechanisms respond to the challenges posed by the post-industrial era? In particular, the regulations/mechanisms for setting and introducing tariffs in regulated economic areas (market entry/access, licensing), division of country by sectors of competition, funding of regulatory bodies, expediency of regulating competition by Constitution, prohibiting monopolies by law are discussed (critically assessed). Accordingly, the author's views on the issues are addressed. To support his ideas, author brings an example from the recent history of Georgia in energy sector from 90's to early 2000's.

Finally, author's assessment of the current situation in the regulated economic spheres in the country is presented as a conclusion: due to the socio-economic situation of Georgia, the country's scale of economy and geopolitical challenges, the country does not need strict mechanisms to regulate competition in regulated economic spheres. (moreover, legal framework/reforms are biased towards more regulations with rare exceptions). Reforms should be aimed at easing regulatory mechanisms, not tightening them. The system should be designed in such a manner that the need for artificial regulation of competition becomes less and less (in order to regulate competition, state intervention in the field should be minimal, except when it's unavoidable). The system should be designed so that there is no need for state regulation) - the report said.

Keywords – Competition, regulation, sectoral regulator, regulated economic spheres.

რეგულირებადი ეკონომიკური სფეროები - რეგულირების მძვავალი თუ რეგულირებით გადარჩენილი

ლაშა მგელაძე, ეკონომიკის დოქტორი

E.mail: lmgeladze@gmail.com

ტელ: (+995) 577 22 98 89

ანოტაცია

ნაშრომი ეხება რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებს. სტატიაში განხილულია რეგულირებადი ეკონომიკური სფეროების მარეგულირებელი ნორმატიული ბაზისა და სფეროში მოქმედი მარეგულირებელი ინსტიტუტების არსებობის აუცილებლობის საკითხი. განვითარებულია მსჯელობა რეგულირების მექანიზმების მიზანშეწონილობაზე. წამოწეულია ინდუსტრიულ ერაში წარმოქმნილი რეგულირების მექანიზმების ეფექტიანობის საკითხი. რამდენად პასუხობს აღნიშნული რეგულირების მექანიზმები პოსტინდუსტრიულ ერაში წარმოქმნილ გამოწვევებს. კერძოდ განხილულია (კრიტიკულადაა შეფასებული) რეგულირებადი ეკონომიკური სფეროებში ტარიფების დადგენისა და სისტემაში ჩართვის (ბაზარზე შესვლის/დაშვების, ლიცენზირების) რეგულაციების/მექანიზმების, ქვეყნის კონკურენციის სექტორებად დაყოფის, მარეგულირებელი ორგანოების დაფინანსების, კონკურენციის კონსტიტუციით რეგულირების მიზანშეწონილობისა და კანონმდებლობით მონოპოლიური მდგომარეობის დაუშვებლობის საკითხები. შესაბამისად, წარმოდგენილია ავტორის შეხედულებები განხილულ საკითხებთან მიმართებაში. მოყვანილია მაგალითი საქართველოს უახლესი ისტორიიდან 1990-იან წლებში (2000-იანების დასაწყისში) ენერგეტიკის სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ.

ბოლოს, დასკვნის სახით წარმოდგენილია ავტორისეული შეფასება ქვეყანაში რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში დღეს არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით: საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან, ქვეყნის ეკონომიკური ზომისა და გეოპოლიტიკური გამოწვევებიდან გამომდინარე, ქვეყანას არ ესაჭიროება რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში დღეს არსებული კონკურენციის რეგულირების მკაცრი მექანიზმები (მითუმეტეს, რომ ნორმატიული ბაზა/რეგულირების რეგულირების კიდევ უფრო გამკაცრების კენ არის მიმართული, იშვიათი გამონაკლისის გარდა). რეგულირების უნდა იყოს მიმართული რეგულირების მექანიზმების შემსუბუქების კენ და არა გამკაცრების კენ. სისტემა უნდა მოეწყოს ისე რომ კონკურენციის ხელოვნურად რეგულირების საჭიროება უფრო და უფრო მცირდებოდეს (კონკურენციის რეგულირების მიზნით, სფეროში სახელმწიფო მხრიდან ჩარევა ხდებოდეს მინიმალურად, გარდაუვლად აუცილებელ შემთხვევებში. სისტემა უნდა აიგოს ისე, რომ არ უნდა იყოს სახელმწიფო რეგულირების საჭიროება) - აღნიშნულია დასკვნაში.

საკვანძო სიტყვები - კონკურენცია, რეგულირება, სექტორული მარეგულირებელი, რეგულირებადი ეკონომიკური სფეროები.

შესავალი

კონკურენცია ნებისმიერი დარგისა თუ სფეროს განვითარების ამოსავალი წერტილია, სწორედ კონკურენცია ქმნის ეფექტიან და სწრაფი განვითარების სტიმულებს/საფუძველს. კონკურენცია უბიძგებს საზოგადოებას ახალი სფეროების (მომართულებების, ბაზრების, პროდუქტის), აღმოჩენისა/შექმნისა და განვითარებისაკენ. მიმართულებები, სადაც მაქსიმალურად უზრუნველყოფილია თავისუფალი კონკურენციის პირობები, შეიძლება ითქვას, უკონკურენტოა განვითარების თვალსაზრისით (სხვა, ნაკლებ კონკურენციულ სფეროებ-

თან შედარებით უფრო სწრაფად და დინამიურად ვითარდება). შესაბამისად, ყველა ხელისუფლების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად სწორედ თავისუფალი კონკურენტული პირობების შექმნა და განვითარებაა მიჩნეული. კონკურენციის პოლიტიკის სწორად წარმართვა იმდენად აქტუალური გახდა, განსაკუთრებით ინდუსტრიულ ხანაში, რომ განსაზღვრული/შემოღებული იქნა ე.წ. რეგულირებადი ეკონომიკური სფეროების დეფინიცია (დარგები სადაც ითვლება, რომ კონკურენცია ბუნებრივად შეზღუდულია ან განსაზღვრულზე მეტი მოთამაშე ბაზარზე წამგებიანია) სადაც სახელმწიფო ჩარევის



შედეგად უნდა შექმნილიყო თავისუფალი კონკურენციის მსგავსი პირობები. აღნიშნული მიდგომა შეიძლება ითქვას გაბატონდა და მსოფლიო მონინავე პრაქტიკადაც კი იქცა. უფრო მეტიც, დროის სვლასთან ერთად, სულ უფრო მკაცრდება რეგულირების მექანიზმები (გარკვეული გამოწვევის შემთხვევების გარდა), რადგან ერთი რეგულაციის შემოღების შედეგად (ასევე, სისტემის განვითარებისა თუ მასშტაბის ზრდის შედეგად) იქმნება სხვა ახალი პრობლემები/გამოწვევები, რომლის მოგვარებისთვის, ითვლება, რომ კიდევ დამატებითი რეგულაციების შემოღება საჭირო და ა.შ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავისუფალი კონკურენციის პროცესში არასწორად ჩარევამ შეიძლება იმხელა ზიანი მოუტანოს ამათუი დარგსა, თუ ზოგადად ქვეყანას, რომ მის გამოსწორებას წლები (ათწლეულებიც კი) დასჭირდეს. შესაბამისად, უაღრესად მნიშვნელოვანია, როდესაც კონკურენციის სახელმწიფოს მხრიდან რეგულირებაზე ვსაუბრობთ (მათ შორის, რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში რეგულირების შემოღებაზე) მაქსიმალურად ავწინ დავწინოთ ყველა შესაძლო რისკი და კარგად გავაცნობიეროთ, ხომ არ ჯობია ბაზარზე, გარკვეულ შემთხვევებში, დავტოვოთ მაქსიმალურად თავისუფალი გარემო, ვიდრე შემოვიღოთ რეგულაციები.

ამჯერად სწორედ რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებს გვინდა შევეხოთ. გავაანალიზოთ და განვსაზღვროთ (წარმოვადგინოთ ჩვენი აზრი) რამდენად მნიშვნელოვანია, აუცილებელია, აღნიშნულ დარგებში რეგულირების გარკვეული პროცედურების/მექანიზმების შემოღება (ჩვენ არ განვიხილავთ დეტალურად არსებულ მდგომარეობას. ამას არც სტატიისთვის განსაზღვრული ფორმატი ეყოფა და არც არსობრივი მნიშვნელობა არ აქვს, ჩვენი აზრით. შევხებით ზოგიერთ, ჩვენი აზრით, ფუნდამენტურად მნიშვნელოვან საკითხს).

სანამ, რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში რეგულირების მექანიზმების ხარვეზებზე გავამახვილებთ ყურადღებას, საინტერესოა, მოკლედ აღვწეროთ ქვეყანაში, კონკურენციის პოლიტიკის ფარგლებში დღეს არსებული მდგომარეობა (ქვეყანაში კონკურენციის ძირითადი მარეგულირებელი ნორმატიული ბაზა შემდეგი ფორმითაა განსაზღვრული):

1. ქვეყანაში მონოპოლიური საქმიანობა აკრძალულია კონსტიტუციით - „მენარმეობის თავისუფლება უზრუნველყოფილია. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა. მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით.“ [1, მუხლი 26, პუნქტი 4].

ბული შემთხვევებისა. მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით.“ [1, მუხლი 26, პუნქტი 4].

2. მოქმედებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის აღსრულებაზე პასუხისმგებელია სსიპ კონკურენციის ეროვნული სააგენტო. აღნიშნული კანონი წარმოადგენს კონკურენციის მარეგულირებელ აქტს, ზოგადად (ერთიან ჩარჩოს). თუმცა ქვეყანაში მოქმედებს კონკურენციის მარეგულირებელი სექტორული ნორმატიული აქტები, რომელიც რიგ შემთხვევებში არ არის მიმართებაში (არ გამომდინარეობს) კონკურენციის მარეგულირებელ ზოგად ჩარჩო კანონთან (კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონთან)

კანონის მიზანს წარმოადგენს:

„საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა, კერძოდ:

ა) ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვა;

ბ) ბაზარზე ეკონომიკური აგენტის თავისუფალი დაშვებისთვის სათანადო პირობების შექმნის უზრუნველყოფა;

გ) ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვის დაუშვებლობა, კერძოდ, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების, გადაწყვეტილებისა და შეთანხმებული ქმედების აკრძალვა და იმ კონცენტრაციის დაუშვებლობა, რომელიც არსებითად ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას, აგრეთვე არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აკრძალვა;

დ) სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოს, სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციული, სამართლებრივი და დისკრიმინაციული ბარიერების დაუშვებლობა;

ე) სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოს, სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ეკონომიკური აგენტისთვის ისეთი ექსკლუზიური უფლებამოსილების ან/და შერჩევითი ეკონომიკური უპირატესობის მინიჭების დაუშვებლობა, რომელიც არამართლზომიერად ზღუდავს კონკურენციას;

ვ) უფლებამოსილი ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას მაქსიმალური საჯაროობის, ობიექტურობის, არადისკრიმინაციულობისა და

გამჭვირვალობის უზრუნველყოფა. [2, მუხლი 2]

3. მოქმედებს „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონი.

კანონის მიზანია:

„1. ...შექმნას მყარი სამართლებრივი საფუძველი და სრულყოფილი ინსტიტუციური გარემო საქართველოში მოქმედი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების სტაბილური ფუნქციონირებისათვის, რათა ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში უზრუნველყოფილ იქნეს ლიცენზიის მფლობელთა და მომხმარებელთა ინტერესების დაბალანსება, მომსახურებისა და საქონლის ეფექტიანი ფასწარმოქმნა და მიწოდება.

2. ეს კანონი აწესებს: საქართველოში მოქმედი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების დამოუკიდებლობას ყოველგვარი პოლიტიკური ზეწოლისაგან, სახელმწიფო ორგანოთა თუ სხვა პირთა არასათანადო ზემოქმედებისა და არასამართლებრივი ჩარევისაგან, აგრეთვე ნებისმიერი სხვა ქმედებისაგან, რომელმაც შეიძლება ხელყოს მათი დამოუკიდებლობა; კონკრეტული სფეროს სრულყოფილი რეგულირების განხორციელების უფლებამოსილებას; პასუხისმგებლობას გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურის გამჭვირვალობისა და საიმედოობის უზრუნველყოფისათვის; ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შექმნის, საქმიანობისა და ორგანიზების ძირითად პრინციპებს.“ [4, მუხლი 1]

4. მოქმედებს საქართველოს კანონები „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ და „მანუფაქტურის შესახებ“. კანონების აღსრულებაზე კონტროლს და სისტემის კოორდინაციას ახორციელებს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონის მიხედვით: „კანონი ადგენს საქართველოს ტერიტორიაზე ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით საქმიანობის სამართლებრივ და ეკონომიკურ საფუძვლებს, ამ სფეროში კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებისა და რეგულირების პრინციპებს, ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს (საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის) ფუნქციებს, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და საშუალებების ფლობის, გამოყენებისა და მომსახურების მიწოდების დროს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებებსა და მოვალეობებს.“ [5, მუხლი 1].

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანს წარმოადგენს: „...სახელმწიფო ჩა-

რევისაგან დამოუკიდებელი საზოგადოებრივი მაუწყებლობის ფორმირება; მაუწყებლობის სფეროში საქმიანობის რეგულირება გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების შესაბამისად, ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს მეშვეობით; სიტყვისა და აზრის თავისუფლების, მაუწყებელთა შორის კონკურენტული გარემოს სტიმულირების, მაუწყებელთა თანასწორობისა და დამოუკიდებლობის, სიხშირეების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა.“ [8, მუხლი 1, პუნქტი 2].

5. მოქმედებს საქართველოს კანონი „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“. კანონის აღსრულებასა და სისტემის მონიტორინგზე პასუხისმგებელი უწყებაა „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია“

კანონის მიზანს წარმოადგენს:

„ა) კონკურენციის განვითარების საფუძველზე და არსებული არაკონკურენტული ბაზრის რეგულირების მექანიზმების გამოყენებით უზრუნველყოს საქართველოს ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის ბაზრებისა და ტარიფების სისტემების ჩამოყალიბება და ამ საფუძველზე წყალმომარაგების, ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემის, დისტრიბუციისა და განაწილების, ელექტროენერგიის საბითუმო მიწოდების მიერ ელექტროენერგიის მიწოდების, იმპორტის, ექსპორტისა და მოხმარების, აგრეთვე ბუნებრივი გაზის მიწოდების, იმპორტის, ექსპორტის, ტრანსპორტირების, განაწილებისა და მოხმარების განსახორციელებლად გაწეული, ეკონომიკურად მიზანშეწონილი ხარჯების ზუსტი ასახვა ტარიფების სისტემებში;

ბ) შექმნას ყველა კატეგორიის მომხმარებლის სტაბილური ელექტრომომარაგებისათვის, ბუნებრივი გაზით მომარაგებისათვის და სასმელი წყლით მომარაგებისათვის საჭირო სამართლებრივი საფუძველი;

გ) ხელი შეუწყოს ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვას ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების დარგების რეაბილიტაციისა და განვითარების მიზნით;

დ) ხელი შეუწყოს ჰიდროენერგეტიკული, სხვა განახლებადი, ალტერნატიული და ბუნებრივი გაზის ადგილობრივი რესურსების უპირატეს გამოყენებას.“ [6]

6. მოქმედებს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონი. კანონის აღსრულებ-



ბაზე კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელი უწყებაა საქართველოს ეროვნული ბანკი. [9]

კანონის მიზანია:

„საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება, ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ინვესტორთა ინტერესების დაცვა, ემიტენტთა მიერ ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებისას მათი ინფორმაციის, აგრეთვე ფასიანი ქაღალდებით საჯარო ვაჭრობის ღიაობის უზრუნველყოფა, ფასიანი ქაღალდებით საჯარო ვაჭრობაში სამართლიანი წესებისა და თავისუფალი კონკურენციის დამკვიდრება.“ [85]

7. მოქმედებს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი. კანონის აღსრულებასა და სისტემაზე მონიტორინგის ფუნქციას ახორციელებს სსიპ საქართველოს ეროვნული ბანკი.

ეროვნული ბანკის ამოცანას, მათ შორის, საფინანსო/საბანკო სფეროში, კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბება წარმოადგენს:

„ეროვნული ბანკის ამოცანაა საფინანსო სექტორის ფინანსური მდგრადობისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობა, მომხმარებელთა და ინვესტორთა უფლებების დაცვა. ამ ამოცანის შესასრულებლად ეროვნული ბანკი ვალდებულია ხელი შეუწყოს საფინანსო სისტემის სტაბილურ და ეფექტიან ფუნქციონირებას, კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებას, სისტემური რისკის კონტროლს, პოტენციური რისკების შემცირებას.“ [10 მუხლი 47].

8. მოქმედებს „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი. კანონის აღსრულებასა და სისტემის მონიტორინგზე პასუხისმგებელი უწყებაა საქართველოს ეროვნული ბანკი.

აღნიშნულ კანონშიც მკაფიოდ არის განსაზღვრული კონკურენციის დაცვის ვალდებულება:

„კომერციულ ბანკს ეკრძალება ისეთი გარიგებები და ქმედებები, რომელთა შედეგადაც იგი დამოუკიდებლად ან სხვა პირებთან ერთად აღმოჩნდება დომინირებულ მდგომარეობაში ფულად, საფინანსო ან საკრედიტო ბაზარზე, აგრეთვე იმგვარი მანიპულაცია, რომელიც დაუმსახურებელ უპირატესობას მიანიჭებს მას ან მესამე პირებს, შექმნის საბანკო საქმიანობის კონკურენციის შეზღუდვის, საპროცენტო განაკვეთებისა და საკომისიო გასამრჯელოს ფიქსაციის შესაძლებლობას ან საშიშროებას. საბანკო საქმიანობაში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კონკურენ-

ციის პოლიტიკას ახორციელებს ეროვნული ბანკი, რომელიც განსაზღვრავს ამ სფეროში საბანკო საქმიანობის დასაშვებ პარამეტრებს, შეფასების კრიტერიუმებსა და ზემოქმედების ზომებს.“ [11 მუხლი 22 პუნქტი 1]

ან

„კომერციული ბანკის მაკონტროლებელ პირს/ადმინისტრატორს ეკრძალება ისეთი ქმედების განხორციელება, რომლის შედეგად კომერციული ბანკისგან მიღებული ინფორმაციის გამოყენებით იგი დამოუკიდებლად ან სხვა პირებთან ერთად დომინირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდება, ან/და რომელიც არასაბანკო სექტორში კონკურენციის შეზღუდვას გამოიწვევს.“ [11 მუხლი 22 პუნქტი 3]

კანონი პირდაპირ ანიჭებს უფლებამოსილებას ეროვნულ ბანკს გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები, თუ კომერციულმა ბანკმა დაარღვია კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნები:

„ეროვნული ბანკი უფლებამოსილია კომერციული ბანკის, კომერციული ბანკის ადმინისტრატორის ან მაკონტროლებელი პირის მიმართ გამოიყენოს ამ მუხლით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე საზედამხედველო ზომა ან/და სანქცია (ფულადი ჯარიმა) ერთი ან რამდენიმე შემდეგი საფუძვლის არსებობისას:

ა) კომერციულმა ბანკმა, კომერციული ბანკის ადმინისტრატორმა ან მაკონტროლებელმა პირმა დაარღვია:

... ა.ვ) „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები.“ [11 მუხლი 30 პუნქტი ა, ქვეპუნქტი ავ]

9. მოქმედებს „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონი. კანონის აღსრულებასა და სისტემის მონიტორინგზე პასუხისმგებელი უწყებაა სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური“, რომლის ერთ-ერთ ფუნქციას სფეროში კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფაზე ზრუნვა წარმოადგენს:

„ამ კანონის მიზნებისათვის სამსახურის ფუნქციებია: დაზღვევის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, სადაზღვევო ბაზრის ფინანსური სტაბილურობისათვის ხელის შეწყობა, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მომხმარებელთა უფლებების დაცვა, სადაზღვევო ორგანიზაციების ქმედობაუნარიანობისა და გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფა, კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა, რისთვისაც იგი ახორციელებს სადაზღვე-

ვო საქმიანობის განზოგადებას, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ნორმატიული და მეთოდოლოგიური ბაზის შექმნას და მისი შესრულების კონტროლს, ახალი კანონპროექტებისა და სხვა პროექტების, ასევე არსებულებში ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტების შემუშავებას“ [12, მუხლი 20, პუნქტი 1].

10. მოქმედებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონი“. კანონის აღსრულება-სა და სისტემის მონიტორინგზე პასუხისმგებელი უწყებაა სსიპ. „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“. კანონის მიზანს წარმოადგენს „...სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების განვითარება და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება...“ [13, მუხლი 2, პუნქტი ბ)]

ჩვენ, ამ ეტაპზე, არ შევუდგებით კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობის დეტალურ განხილვას. ყურადღებას გავამახვილებთ იმ მნიშვნელოვან პრინციპებზე, რომელზეც აგებულია კანონმდებლობა და ჩვენი აზრით, საჭიროებს დახვეწას. აღნიშნული მიდგომა განპირობებულია შემდეგი გარემოებით: ვფიქრობთ, თუ თავიდანვე არ იქნა სწორი ორიენტირები განსაზღვრული, თუ ჩანასახშივე არ განესაზღვრეთ სწორად კონკურენციის პოლიტიკის პრინციპები (ჩვენ ქვეყანაში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე), ვერ ავაგებთ სისტემის მარეგულირებელ კანონმდებლობას ისე, რომ იგი იყოს ეფექტიანი და ჩვენი ქვეყნის განვითარებაზე სწორად ორიენტირებული.

გამოვყოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი:

1. ჩვენი ქვეყნის კონკურენციული პოლიტიკა მიმართულია სისტემის სექტორებად დაყოფის კენ. ზოგადად, კონკურენციული გარემოს სრულყოფაზე ზრუნავს კონკურენციის სააგენტო. იქ, სადაც ითვლება რომ კონკურენცია შეზღუდულია, ეგრეთწოდებულ რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში, კონკურენციას იცავს შესაბამისი მარეგულირებელი ორგანო - საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, საბანკო სფეროში - ეროვნული ბანკი ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, კონკურენციის პოლიტიკა დანაწევრებულია.

დანაწევრებული კონკურენციის პოლიტიკა იწვევს სისტემის მარეგულირებელი ორგანოს დანაწევრებას, რაც იწვევს: ფუნქციების დუბლირების მაღალ ალბათობას, კონკრეტულ საქმეებთან მიმართებაში გამყოფი ხაზის იდენტიფიცირების

გაძნელებას (სად მთავრდება ერთი ორგანოს უფლებამოსილება და სად იწყება მეორეს ფუნქციების შესრულება); მთელ რიგ შემთხვევებში, სფეროს მარეგულირებელ სხვადასხვა ორგანოებს შორის თანამშრომლობის აუცილებლობას, რაც კიდევ უფრო ხისტს და მოუქნელს ხდის სისტემას. ასევე, ზრდის სტიმულს, რაც შეიძლება მეტი ბიუროკრატიული ფუნქციით (დამატებითი რეგულირების მექანიზმებით) იყოს აღჭურვილი ესა თუ ის ორგანო, რათა მეტი გავლენა ჰქონდეს, ვიდრე სფეროს მარეგულირებელ კოლეგა ორგანოს და ა.შ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვან ხარვეზად შეიძლება ჩაითვალოს კონკურენციის პოლიტიკის დარგობრივ ჭრილში დაქუცმაცება და სხვადასხვა დარგებში კონკურენციის პოლიტიკის შესაბამისი მარეგულირებელი ინსტიტუტების საშუალებით გატარება. მიზანშეუწონელია, ქვეყანაში, სადაც ბიზნესი ფეხს იდგამს, დაქსაქსო მისი მაკონტროლებელი სახელმწიფო ორგანოები და შექმნა რეგულირების უფრო მეტი ბიუროკრატიული ბარიერები/მექანიზმები.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ევროკომისიასთან აქტიური მოლაპარაკებებისა და შეთანხმების შედეგად, 2010 წლის 3 დეკემბერს მთავრობის #1551 განკარგულებით დამტკიცდა კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგია. სტრატეგიაში, რომელიც ევროკომისიასთან შეთანხმებულია, ცალსახად არის აღნიშნული, რომ ქვეყანაში კონკურენციის დაცვაზე ეკონომიკის ყველა სფეროში (მათ შორის, რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში) პასუხისმგებელი უნდა ყოფილიყო ერთი უწყება - კონკურენციის სააგენტო. [15, თავი 4, ქვეთავი 4.2.1]

ასევე, აღსანიშნავია ისიც, რომ თავდაპირველ ეტაპზე, როდესაც 1996 წლის 25 ივნისს მიღებულ იქნა კანონი „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფლებამოსილება, კონკურენციის დაცვის კუთხით, ვრცელდებოდა ეკონომიკის ყველა სექტორზე. მოგვიანებით, 2002 წელს, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების შედეგად, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის რეგულირების კომპეტენციიდან გამოყვანილ იქნა ის სფეროები, სადაც დამოუკიდებელი მარეგულირებელი ეროვნული კომისიები არსებობდნენ (ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია; კომუნიკაციების ეროვნული კომისია; ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო



სააგენტო; მოგვიანებით ტრანსპორტის სფეროს მარეგულირებელი სააგენტოები).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ქვეყანაში კონკურენციის პოლიტიკის ზედამხედველობა განახორციელოს ერთმა პასუხისმგებელმა ორგანომ, კონკურენციის სააგენტომ, ეკონომიკის ყველა სფეროში. მათ შორის, რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში.

2. ისევე, როგორც ინსტიტუციური ნაწილი, ნორმატიული ბაზაც ნაწილობრივ დანაწევრებული და დაქსაქსულია. მიუხედავად იმისა, რომ 2020 წლის 18 სექტემბერს ძალაში შევიდა კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებები, რომლის მიხედვით კანონმა მოიცვა კონკურენციის თითქმის ყველა სფერო და გახდა კონკურენციის მარეგულირებელი ერთიანი/ზოგადი ჩარჩო კანონი, მთელ რიგი ერთგვაროვანი საკითხების რეგულირებასთან მიმართებაში ვხვდებით შეუსაბამობებს/განსხვავებებს.

აღნიშნული მნიშვნელოვნად ამცირებს სისტემის ეფექტიანობას. ქმნის არათანმიმდევრულობის და ერთი ტიპის ნორმების სხვადასხვაგვარად დარეგულირების სიტუაციას/სტიმულს (რაც განსაკუთრებით კარგად სექტორულ მარეგულირებლებთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში ჩანს. მაგ. რეგულირების საფასურის, ბიუჯეტის ნაშთის განკარგვის და ა.შ. დებულებებში). აღნიშნული კიდევ უფრო ართულებს სისტემის გამჭვირვალობას და მოქნილობას. სისტემა ხდება უფრო მეტად ორაზროვანი და გაურკვეველი/ბუნდოვანი, მცირდება დებულებების სწორად გაგების ალბათობა მეწარმეების/ეკონომიკური აგენტების მხრიდან. ეს იწვევს დაბნეულობას, განვითარებისკენ სწრაფვის სტიმულის შემცირებას და კონკურენციის შეფერხებას. რაც მთავარია, იზრდება ბიუროკრატიული პროცედურები და წნეხი ბიზნესზე (მაგ. რიგ შემთხვევებში, ეკონომიკურ აგენტებს უწევთ კონკურენციის დარღვევის ფაქტზე რამდენიმე სხვადასხვა სახელმწიფო უწყებასთან ურთიერთობა და ბიუროკრატიული პროცედურების გავლა), მარეგულირებელი ინსტიტუტების მხრიდან „თითის ერთმანეთისკენ გაშვების“ (ეს მისი კომპეტენციაა...) ალბათობა; ასევე, იზრდება ძალაუფლების გამყარების/გაზრდის სურვილით საკუთარი უწყების უფრო მეტი ფუნქციებით (მეტი ფუნქციების „დათრევის“) აღჭურვის მცდელობა/სურვილი. ძლიერდება უწყებებს შორის ფუნქციების დუბლირებისა და შესაბამისად, გაუგებარი სიტუაციების ზრდის ალბათობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კონკურენციის მარეგულირებელი ჩარჩო კანონით უნდა განისაზღვრება კონკურენციის რეგულირების ძირითადი დებულებები ყველა სექტორში და რომელთან შესაბამისობაშიც მოვა ყველა კონკრეტული/სპეციფიკური კონკურენციის მარეგულირებელი დებულება.

3. ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების დაფინანსების ძირითად წყაროს რეგულირების საფასური შეადგენს. კანონმდებლობის მიხედვით, ყველა პირი, რომელიც ახორციელებს ან აპირებს განახორციელოს საქმიანობა ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს უფლებამოსილების სფეროში, ვალდებულია გადაიხადოს რეგულირების საფასური [7].

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში რეგულირების საფასურის ოდენობაა ავტორიზებული პირის მიერ განხორციელებული და რეგულირებას დაქვემდებარებული საქონლის (მომსახურების) მიწოდების ან/და შესრულებული სამუშაოს მთლიანი ღირებულების (დღგ-ის გარეშე) 0,75 პროცენტი [5, მუხლი 12, პუნქტი 4].

მაუწყებლობის სფეროში კი, რეგულირების საფასურის ოდენობაა მაუწყებლის მიერ განხორციელებული და რეგულირებას დაქვემდებარებული საქონლის (მომსახურების) მიწოდების ან/და შესრულებული სამუშაოს მთლიანი ღირებულების (დღგ-ის გარეშე) 0,5 პროცენტი [8, მუხლი 12, პუნქტი 5]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კომისია უფლებამოსილია წლის განმავლობაში დარჩენილი ნაშთი მიმართოს სახელმწიფო ბიუჯეტში [5, მუხლი 12, პუნქტი 2].

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის რეგულირების სფეროში რეგულირების საფასური განისაზღვრება „რეგულირების საფასურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. „...კომისია ყოველი წლის 15 სექტემბრისათვის ლიცენზიატებისაგან, იმპორტიორებისაგან, ელექტროენერგიის საბითუმო მიმწოდებლებისა და ბუნებრივი გაზის მიმწოდებლებისაგან მიღებული მომავალი წლის საქმიანობის მოცულობის პროგნოზის საფუძველზე ადგენს რეგულირების საფასურს, რომელიც უზრუნველყოფს კომისიის მომავალი საბიუჯეტო წლისათვის დაგეგმილი ხარჯების დაფარვას...“ [6, მუხლი 19, პუნქტი 1].

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, დაფინანსების მსგავსი მოდელი. პირი არეგულირებს/აკონტრო-

ლებს სფეროში მოქმედ საწარმოებს და აღნიშნული კონტროლისათვის დაფინანსებას/თანხას ართმევს კომპანიებს, რომელსაც აკონტროლებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს მსოფლიოში ფართოდ დანერგილი პრაქტიკაა, ჩვენი აზრით, არასწორია.

საწარმო იხდის კანონმდებლობით განსაზღვრულ გადასახადებს სახელმწიფო ბიუჯეტში და მასზე დაკისრებული ყოველი დამატებითი გადასახადი დამატებითი წნეხია. სისტემას ხდის ხისტს და არაეფექტურს, აუარესებს ბიზნეს გარემოს და აქვეითებს ბაზარზე შესვლის სტიმულს. შესაბამისად ამცირებს თავისუფალი კონკურენციის მასშტაბს.

თუ სახელმწიფო თვლის, რომ კონკრეტულ სფეროში ესაჭიროება მაკონტროლებელი ორგანო, იგი უნდა დააფინანსოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან (კომპანიები იხდიან გადასახადებს, მათ შორის, სახელმწიფოს მიერ მსგავსი ფუნქციების განხორციელებისათვის). დამატებითი საფასურების შემოღება, მითუმეტეს იმ პირებისათვის, ვისაც აკონტროლებ, მიზანშეუწონელი და არაეფექტურია.

ასევე, ეს არაპირდაპირ წნეხად აწვება მომხმარებელს (არადა, კანონმდებლობით, მარეგულირებელი კომისია - მომხმარებელთა უფლებების დაცვაზეა ორიენტირებული, მისი ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა), რადგან რეგულირების საფასური ზრდის მომსახურების ღირებულებას.

ამასთან, ქმნის კორუფციის მაღალ რისკს, რადგან დიდია სტიმული იმისა, რომ კომისიამ მიიღოს რაოდენობრივად უფრო მეტი სახსრები. მაგალითად, თუ ბაზარზე ახალი კომპანიის შემოსვლის შემდეგ დიდია ალბათობა, რომ ფასები გაიზარდოს და ბაზარზე მოთამაშე კომპანიების ბრუნვა შემცირდეს (გაიზარდოს ფასის შედეგად), იზრდება ალბათობა/სტიმული იმისა, რომ კომისიამ მხარი არ დაუჭიროს მსგავსი მოვლენების განვითარებას.

ასევე, არასწორად მიგვაჩნია წლის განმავლობაში წარმოქმნილი ნაშთის სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნების უფლებამოსილება (ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონის მე-12 მუხლი). თუ მარეგულირებელ ორგანოს წლის ბოლოს რჩება აუთვისებელი სახსრები, ეს ნიშნავს, რომ რეგულირების საფასური არის საჭიროზე მაღალი. ტარიფი უნდა იყოს დაანგარიშებული გონივრულობის პრინციპით და უნდა ამოდიოდეს მხოლოდ მარეგულირებელი ორგანოს ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ხარჯების საჭიროებიდან. თუ წლის ბოლოს ნაშთი რჩება, მაშინ უნდა შემცირდეს შემდგომი წლის რეგულირების საფა-

სური, როგორც ეს „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით არის განსაზღვრული (მუხლი 19).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეუწონლად მიგვაჩნია, მარეგულირებელი ორგანოებისათვის დაფინანსების წყაროდ რეგულირების საფასურის განსაზღვრა. ეს კიდევ უფრო მოუქნელს/ხისტს ხდის სისტემას, აზარალებს შესაბამის სფეროში ბიზნეს გარემოს და აქვეითებს საინვესტიციო მიმზიდველობას; მაღალია კორუფციის რისკი; რეგულირების გადასახადი წნეხად აწვება, ასევე, მომხმარებელს.

3. საქართველოს კონსტიტუციითა (მუხლი 26) დაუშვებელია მონოპოლიური საქმიანობა, ხოლო ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელი კანონმდებლობის თანახმად, დაუშვებელია ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობა [5, მუხლი 4, პუნქტი 2, ქვეპუნქტი ბ.]. კანონმდებლობის მიხედვით: აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა. მომხმარებელთა უფლებები დაცული უნდა იქნას კანონით.

უნდა აღინიშნოს, რომ, ამერიკული სამართალის პრაქტიკაში მონოპოლიური საქმიანობა გულისხმობს მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას. მიუხედავად აღნიშნულისა, ჩვენი აზრით, კონსტიტუციის ჩანაწერი ორაზროვანია და ქმნის გაუგებრობას. მთელი რიგი ადამიანებისა, აღნიშნულ ჩანაწერს აღიქვამს, როგორც მონოპოლიური მდგომარეობის მიღწევას და არა, როგორც მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამერიკულისგან განსხვავებით, ქართული სამართალი არ არის „პრეცედენტული“. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ კონკურენციის სამართალი მეტნაკლებად ზოგად ჩარჩოდ/პრეცედენტულად ითვლება [წინასწარ განსაზღვრა იმისა, ესა თუ ის საქციელი დანაშაულად ითვლება თუ არა ძალიან რთულია (ეკონომიკური აგენტი განაჩენის გამოტანამდე ვერ ადგენს დანაშაულს თუ არა)] და გადაწყვეტილებების გამოტანისას ძირითადად მსოფლიოში არსებულ პრაქტიკას და პრეცედენტებს ეყრდნობა, მიზანშეუწონელია აღნიშნული ჩანაწერის კანონმდებლობაში არსებობა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩანაწერი წინააღმდეგობრივ ხასიათს ატარებს. ანუ, ერთის მხრივ ეკრძაღვთ მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, მეორეს მხრივ კი ვაზუსტებთ, თუ ეს კანონით არ არის დაშვებული. გაუგებარია რატომ უნდა იყოს დაშვებული კანონით მონოპო-



ლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება? პასუხი ცალსახაა, მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გამონაკლისების განსაზღვრა დაუშვებელია.¹

ასევე, კონკურენციის პოლიტიკის მსოფლიოში არსებული მონინავე პრაქტიკა მიუთითებს/აქცენტს აკეთებს არა მონოპოლიურ საქმიანობაზე, არამედ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაზე.

შესაბამისად, მიზანშეუწონლად მიგვაჩნია კონკურენციის რეგულირების საკითხის კონსტიტუციით განსაზღვრა (მითუმეტეს, რომ იქვე მითითებულია გამონაკლისი „გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა“). 1. ეს საკითხი არ არის კონსტიტუციის სპეციფიკა 2. ინვესტ გაუგებრობასა და შიშს ეკონომიკურ აგენტებსა თუ პოტენციურ ინვესტორებში (ჩანასახივე ხაზს უსვამს ხელისუფალი, რომ დაინყებს ბიზნესის კონტროლს, რაც, ჩვენი აზრით, მართებული არ არის).

რაც შეეხება „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის ჩანაწერს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით საქმიანობაში მონოპოლიური მდგომარეობის დაუშვებლობის შესახებ (აღნიშნული მიდგომის მომხრე ძალიან ბევრი ადამიანი გვხვდება დღეს მათ შორის აკადემიურ წრეებში) ცალსახად გაუმართლებელია.

ამასთან, მიზანშეუწონელია, მენარმეს, რომელმაც თავისი თავდაუზოგავი შრომით, ინოვაციური პროდუქტების დანერგვით, მენეჯმენტის მაღალი ხარისხის მიღწევით და ა.შ. მიაღწია მონოპოლიური მდგომარეობას (აქ ალბათ, უფრო დომინირებული მდგომარეობის მიღწევა უნდა ვიგულისხმოთ და არა მონოპოლიური, რადგან მონოპოლიური მდგომარეობა საქონლის ურთიერთჩანაცვლებადობის პრინციპიდან გამომდინარე, რეალურ ცხოვრებაში ნაკლებად მიღწევადია, ცალკეული, გამონაკლისი შემთხვევების გარდა), აიძულო დააქუცმაცოს თავისი ბიზნესი. გაუმართლებელია, გაუქრო სტიმული მენარმეს იყოს ძალიან წარმატებული თავისი საქმიანობის სფეროში. გაუგებარია, პირს, რომელმაც

1 თუ მონოპოლიურ საქმიანობაში უბრალოდ მონოპოლიური მდგომარეობა იგულისხმება (რისი ფიქრის საფუძველს ჩანაწერის მეორე ნაწილი - „გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა“, გვაძლევს მაშინ საერთოდ გაუმართლებელია/წინააღმდეგობრივია აღნიშნული საკითხის კონსტიტუციით რეგულირება - ეწინააღმდეგება კონკურენციის თანამედროვე რეგულირების არსს - დასჯადია არა მონოპოლიური/დომინირებული მდგომარეობა, არამედ ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენება)

თავისი ყოჩაღობის გამო მიაღწია მონოპოლიურ მდგომარეობას და პატიოსნად აწარმოებს თავის ბიზნესს (ბოროტად არ იყენებს თავის მონოპოლიურ მდგომარეობას), რატომ უნდა აუკრძალო საქმიანობა და მოსთხოვო ბიზნესის დაქუცმაცება. აღნიშნული აქრობს ბიზნესის განვითარების სტიმულს და უბიძგებს ეფექტურ/წარმატებულ მენარმეებს ბაზრიდან გასვლისაკენ. მაგალითად, კომუნიკაციების ბაზარზე მოთამაშე რომელიმე კომპანიამ თუ გამოიგონა მომსახურების მინოდების ისეთი მეთოდი/ტექნოლოგია, რომელიც მკვეთრად, პირობითად სამჯერ, აიაფებს მის პროდუქტს და მოიპოვა მონოპოლიური მდგომარეობა ბაზარზე (იმის გამო, რომ სხვა კომპანიების საქმიანობამ უბრალოდ აზრი დაკარგა, წამგებიანი გახდა და გავიდნენ ბაზრიდან), რატომ უნდა ავუკრძალოთ საქმიანობა (რა სტიმული უნდა ჰქონდეს კომპანიას, რომ გააუმჯობესოს თავისი პროდუქტის/მომსახურების ხარისხი ისე, რომ იყოს საუკეთესო ბაზარზე; გაიმარჯვოს კონკურენციულ ბრძოლაში). კომპანიას, რომელმაც თავისი შრომით, ყველა წესის დაცვით მიაღწია მონოპოლიურ მდგომარეობას, იხდის გადასახადებს და არ იყენებს ამ მდგომარეობას ბოროტად, რატომ უნდა შეუზღუდო ფუნქციონირება, დააქუცმაცო ან დააკისრო სანქციები, გაუგებარია.

მითუმეტეს, მსოფლიო დიდი ხანია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბაზარზე მონოპოლიური ან დომინირებული მდგომარეობა არ უნდა აიკრძალოს. უნდა აიკრძალოს დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. ანუ კონკურენციის კანონმდებლობის მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკა უკვე ითვალისწინებს არა მონოპოლიური საქმიანობის/მდგომარეობის აკრძალვას, არამედ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვას.

ასევე გვინდა აღვნიშნოთ, რომ კანონის ჩანაწერი წინააღმდეგობრივი ხასიათისაა: კანონის ჩანაწერის მიხედვით ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის ერთ-ერთ მიზანს „ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით საქმიანობაში მონოპოლიური მდგომარეობის დაუშვებლობა და მომსახურების ბაზრის ლიბერალიზაცია“ წარმოადგენს [5, მუხლი 4 პუნქტი 2. ქვეპუნქტი ბ.]. ანუ ერთის მხრივ იკრძალება მონოპოლიური მდგომარეობა, მეორეს მხრივ კი კანონმდებლობის ლიბერალიზაციის მოთხოვნაა. აღნიშნული მიდგომა ქმნის გაუგებრობას, თუ კანონი ლიბერალიზაციისკენ მიდის, წესიერ მონოპოლისტს რატომ უნდა აუკრძალო მონოპოლიური მდგომარეობა (უკიდურესად გაამკაცრო რეგულაცია) ბუნდოვანია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია: 1. გაუქმდეს კონსტიტუციის 26-ე მუხლის ჩანაწერი, რომელიც მოიცავს მონოპოლიური საქმიანობის აკრძალვის მოთხოვნას. 2. კანონმდებლობით აიკრძალოს არა მონოპოლიური საქმიანობა, არამედ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. 3. გაიმართოს მსჯელობა კონკურენციის კანონმდებლობის შემდგომი ლიბერალიზაციისათვის (და არა დამატებითი მარეგულირებელი დებულებების შემოღებისა და კიდევ უფრო გამკაცრებისათვის) და აღნიშნული მიმართულებით დაიხვეწოს კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობა.

4.1 მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირებისთვის სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრების უფლებამოსილება. კანონმდებლობის მიხედვით, თუ მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტის კვლევისა და ანალიზის ჩატარების შედეგად, კომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანო დაადგენს, რომ ერთ ან რამდენიმე ავტორიზებულ პირს აქვს ერთობლივი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება, იგი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების ხასიათიდან გამომდინარე, განსაზღვრავს აღნიშნული პირებისთვის დაკისრებულ სპეციფიკურ ვალდებულებებს (მაგ. ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ვალდებულება; დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულება; დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვის ვალდებულება, კომისიის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიური ნესების შესაბამისად; ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების ვალდებულება; სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულება) [5, თავი VI].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მსგავსი მიდგომა მკვეთრად აუარესებს ბიზნესგარემოს და მიმართულია ეფექტური/ყოჩაღი მენარმეების დასჯისაკენ. თუ პირი კარგად შრომობს და სხვა, ბაზარზე მოქმედ, კომპანიებთან შედარებით უფრო ეფექტური და ნაყოფიერია, რის შედეგადაც ბაზარზე დომინანტურ მდგომარეობას აღწევს, ისჯება. ანუ, შესაძლებელია მისი ეფექტიანობის გამო მარეგულირებელმა კომისიამ დააკისროს დამატებითი სპეციფიკური ვალდებულებები, რათა უკეთ აკონტროლოს იგი.

აღნიშნული კიდევ უფრო აფრთხობს ბიზნესს და ქმნის შთაბეჭდილებას, რომ სახელმწიფო ყველა ფეხის ნაბიჯზე დაგდებს და გაკონტროლებს, რაც ინვესტიციების მოზიდვის და ახალი, მსხვილი ბიზნესის წამოწყების სურვილის გაქრობას იწვევს;

ზრდის რისკს, რომ სახელმწიფოსგან ან კერძო ჩიწონიკებისაგან მიღებული გარანტიების (მათთან გარიგების) გარეშე არ წამოიწყო ან განავითარო ბიზნესი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, მონოპოლიური მდგომარეობის დაუშვებლობისა და ბაზარზე დომინანტური მდგომარეობის მქონე ორგანიზაციებისათვის დამატებითი სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრების შესაძლებლობები მაქსიმალურად იქნას გამორიცხული კანონმდებლობით.

5. რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში მოქმედებს ტარიფების დადგენისა და სისტემაში ჩართვის რეგულაციები (ლიცენზიები), რაც ზღუდავს კონკურენციას. რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში ტარიფები და სისტემაში ჩართვის რეგულაციების დგინდება შესაბამისი კანონის საფუძველზე მარეგულირებელი ორგანოს შიდა ნორმატიული აქტით/გადაწყვეტილებით. მაგ. „ელექტროენერგიის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიების დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება №14, 2014 წლის 30 ივლისი), „წყალმომარაგების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება № 21 2017 წლის 10 აგვისტო), „ბუნებრივი გაზის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება №33 2014 წლის 25 დეკემბერი), საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილება/კვლევა (მიღებულია 2011 წლის 25 იანვარს) [134], „მოდრავი საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყების/ დასრულების) საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ“

გვინდა აღვნიშნოთ, რომ ეს მეთოდი ფართოდ აპრობირებული და დანერგილია მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში და კარგ პრაქტიკად ითვლება. გამომდინარე იქიდან, რომ რეგულირებად ეკონომიკური სფეროებში შეზღუდულია ეკონომიკურ აგენტთა რაოდენობა, ბუნებრივად არსებობს დომინანტი/მონოპოლიური კომპანიები და ალბათობა იმისა, რომ თავისუფალი კონკურენციის პირობები



შეიზღუდოს ძალიან მაღალია (კომპანიების მიერ დომინანტური/მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ალბათობა მაღალია). მიჩნეულია/მიღებული პრაქტიკაა, რომ სახელმწიფომ უნდა შექმნას ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის პირობები (თითქოს ბაზარზე ოპერირებადი კომპანიები მოქმედებენ თავისუფალ კონკურენტულ პირობებში). შესაბამისად, სახელმწიფო იყენებს ისეთ რეგულირების მექანიზმებს როგორცაა, სისტემაში ჩართვის/ბაზარზე შესვლის ლიცენზიები; საცალო და საბითუმო ფასების ზღვრული ოდენობების დადგენა; ბაზარზე ოპერირებადი კომპანიების ურთიერთ ჩართვის ტარიფების დადგენა; სისტემით სარგებლობაზე (იგულისხმება გამტარი/გადამცემი საშუალებები ელექტრო, წყლის და ა.შ.) უარის თქმისა და განსაკუთრებული პირობების დაწესების შეზღუდვა და ა.შ.

რეალურად, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული პოლიტიკით სახელმწიფო ზღუდავს კონკურენციას ბაზარზე და ხელს უშლის/აფერხებს სისტემის განვითარებას. მათ შორის აფერხებს ბაზარზე მეცნიერებატევადი პროდუქციის შექმნისა და დანერგვის შესაძლებლობას. ნაცვლად იმისა, რომ სახელმწიფო პოლიტიკა მიმართული იყოს სისტემაში მიმზიდველი ეკონომიკური გარემოს შექმნისაკენ, რათა, რაც შეიძლება მეტი პროგრესული და ეფექტიანი კომპანია იქნას შესული ბაზარზე. ითვლება, რომ ბაზარზე ბევრი კომპანიის (დადგენილ ზღვარზე მეტი რაოდენობის კომპანიის) არსებობა გაუმართლებელია, როგორც ეკონომიკურად ისე უსაფრთხოებიდან გამომდინარე და აწესებს თამამის წესებს. შესაბამისად, თუ სახელმწიფომ არ დაავალა სისტემაში ჩართულ კომპანიებს რაიმე ახალი ინოვაციური პროდუქტის ან მომსახურების შექმნა/დანერგვა, მოტივაცია იმისა, რომ ბაზარზე მოთამაშე კომპანიები განვითარდნენ ძალიან დაბალია. (მაგ. მხოლოდ სახელმწიფო დავალების შედეგ დაუშვეს კომპანიებმა ერთმანეთის ნომრები თავიანთ ქსელებში ნომრის შეუცვლელად ჩართვის (ნომრების პორტაბელურობის) შესაძლებლობა [20]).

ითვლება, რომ, თუ სახელმწიფომ არ მისცა აღნიშნულ სექტორებში ბიძგი უკეთესი პროდუქტისა და მომსახურების დანერგვას, კომპანიებს არ აქვთ მსგავსის გაკეთების მოტივაცია; კომპანიები რეგულირებად სექტორებში ისედაც მაღალ/გარანტირებულ მოგებას იღებენ და არ აინტერესებთ განვითარება. სინამდვილეში კი ამას სწორედ სახელმწიფო პოლიტიკა უწყობს ხელს.

მაინც როგორ ხდება ეს:

1. კომპანიამ რომ მოინდომოს არსებული ინფრასტრუქტურის მაგივრად შექმნას თავისი მათ შორის ლოკალური ინფრასტრუქტურა (მაგალითად შექმნას ელექტროგადამცემი, კავშირგაბმულობის ან წყლის სისტემა როგორც გლობალურად ისე ლოკალურად - მაგ. მხოლოდ რომელიმე რაიონის დონეზე ბიზნესის შემდგომი განვითარების მიზნით) შეეჯახება ბიუროკრატიულ მანქანას, რომელიც არ მისცემს მას აღნიშნულის განხორციელების საშუალებას.

შესაბამისად, ყველა მოთამაშე იძულებულია ისარგებლოს მხოლოდ არსებული ინფრასტრუქტურით რაც ზღუდავს კონკურენციას და აქცევს ზემოაღნიშნული მიდგომის გამართლების მსხვერპლად (ინფრასტრუქტურა მორგებულია პირობითად მხოლოდ სამ კომპანიაზე. მეოთხეს არსებობა გაუმართლებელია და ამ სამს რეგულაციები ჭირდება რათა არ დაიჩაგროს მომხმარებელი/ბაზარზე არ დაირღვეს კონკურენტული პირობები).

ეს ამცირებს სახელმწიფო პოლიტიკის მოქნილობის ხარისხს. ნაცვლად იმისა, რომ სახელმწიფო ფიქრობდეს ბუნებრივად შექმნას ბაზარზე კონკურენტული პირობები, მისი პოლიტიკა ფოკუსირებულია კონკრეტული ფორმულების დახვეწაზე რომლის საშუალებით უფრო ეფექტიანად ხდება ბაზრის კვლევა; ურთიერთჩართვის, საბითუმო და საცალო ტარიფების დადგენა და ა.შ. შესაბამისად სისტემა ექცევა ეკონომეტრიკული/ფორმულების შემუშავებისა და დახვეწის ჩარჩოში, რაც კიდევ უფრო აშორებს მას რეალური ბაზარისგან - ბაზარზე რეალურად არსებულ/შესაძლებელ კონკურენციისგან.

2. სახელმწიფო, კომპანიებს უწესებს ურთიერთ ჩართვის ტარიფების ზედა ზღვრებს რაც გაუგებარია და კიდევ უფრო ზღუდავს კონკურენციას.

ანუ იმის შიშით, რომ ბაზარზე ოპერირებადმა კომპანიამ მეორე კომპანიას არ დაინესოს „ეკონომიკურად გაუმართლებელი (მათ შორის დისკრიმინაციული სხვადასხვა კომპანიებს სხვადასხვა) ფასი“ მისი ქსელით სარგებლობისა თუ ქსელში შესასვლელად ითვლება, რომ სახელმწიფო უნდა ჩაერიოს პროცესში.

აღნიშნული მიდგომა ბუნდოვანია და უფრო მეტად ზღუდავს კონკურენციასა და ბაზრის განვითარებას. იგი აქრობს კომპანიების განვითარებისა და კონკურენციულად მდგრად კომპანიად ჩამოყალიბების სურვილს.

დავუშვათ რომ ბაზარზე ოპერირებს კომპანია, რომელშიც ჩართულია მომხმარებელთა უმრავლესობა. ეს კომპანია დომინანტია ბაზარზე და ცდი-

ლობს ბაზარზე არ შემოუშვას სხვა კომპანია და მიიღოს მაქსიმალური მოგება. ამიტომ ის კონკურენტი კომპანიებს უწესებს მის ქსელში შესვლის, ჩართვის მაღალ ტარიფს რათა კონკურენტი კომპანიას გაუძვირდეს მომსახურება და ფასი. ეს აღიქმება სახელმწიფო ჩარევის არგუმენტად [თუმცა დაშვება თეორიულია და თუ სახელმწიფო არ ჩაერევა ან არასწორად არ ჩაერევა, (მაგალითად ლიცენზიის მისცემს მხოლოდ ერთ ან ორ კომპანიას, შეუქმნის საგადასახადო ან სატარიფო შეღავათებს და ა.შ.) ნებისმიერ კონკურენტულად შეზღუდულ ბაზარზე იმის აღბათობა, რომ ერთი კომპანია ფლობდეს მომხმარებელთა სრულ უმრავლესობას ძალიან მცირეა]. ჩვენ ვთვლით, რომ სწორედ აღნიშნული მოვლენა ამძაფრებს კონკურენციულ ბრძოლას ბაზარზე და ქმნის უფრო ძლიერი და კონკურენტულად მყარი კომპანიების ჩამოყალიბების/ ბაზარზე შესვლის სტიმულს (ეს მოვლენა არ საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან ჩარევას).

კერძოდ, მომხმარებელი, რომელიც ამა თუ იმ კომპანიის მომსახურებით სარგებლობს ყოველთვის ცდილობს უკეთესი მომსახურება მიიღოს რაც შეიძლება დაბალ ფასად. მიუხედავად იმისა, რომ დომინანტი კომპანიის შეიძლება ფლობდეს მომხმარებელთა უმრავლესობას და აწესებდეს მის ქსელში ჩართვის მაღალ ტარიფს, კონკურენტი კომპანია ეცდება მომხმარებლის სხვა უკეთესი პირობების შეთავაზებით გადმოიბრუნებას (მაგ. მის ქსელში უფრო მცირე ფასის შეთავაზება; მომსახურების მიღების უფრო მაღალი ხარისხი, მცირე დრო და მდგრადობა; ინოვაციური პროდუქტის შეთავაზება, რომელიც მკვეთრად ამაღლებს ხარისხს აიოლებს და აიაფებს პროდუქტს და ა.შ.). დომინანტი კომპანიის უპირატესი მდგომარეობის შენარჩუნება ბაზარზე (თუ იგი მუდმივად არ ეცდება ხარისხის ზრდასა და პროდუქტის ეკონომიკურად გამართლებული ფასის დაწესებას) დროებითია. ამ მდგომარეობის დიდი ხნით შენარჩუნება (თუ სახელმწიფოსგან ექსკლუზიური პირობებით არ სარგებლობს კომპანია) ზემოგებისა თუ ეკონომიკურად არაკონკურენტული პირობების შენარჩუნების პირობებში შეუძლებელია. მიუხედავად იმისა, რომ შეზღუდული კონკურენციის ბაზარზე ოპერირებს, იგი დაკარგავს მომხმარებელს რადგან კონკურენტი კომპანიები შეთავაზებენ უკეთეს პირობებს და მომხმარებელი ეტაპობრივად გადაინაცვლებს კონკურენტ კომპანიებში.

3. სახელმწიფო კომპანიებს უწესებს საბითუმო და საცალო ფასის ზედა ზღვრებს. რაც კიდევ უფრო

ზღუდავს კონკურენციას და ამცირებს კონკურენციის განვითარების სტიმულს. შეზღუდულ ჩარჩოებში გადაჰყავს კონკურენციის განვითარების ბუნებრივი სტიმულები.

აღნიშნული რეგულაციის შემოღების აუცილებლობა განპირობებულია შემდეგი არგუმენტით: გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიები ბაზარზე არიან დომინანტურ მდგომარეობაში არ შევიდნენ ერთმანეთთან კარტელურ გარიგებაში და მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით არ გაზარდონ ფასი არაადეკვატურად (არ დაანესონ „ეკონომიკურად გაუმართლებელი ფასი“).

რეალურად ეს მიდგომა კიდევ უფრო ზღუდავს კონკურენციას ბაზარზე და ამცირებს სისტემის განვითარების (მათ შორის კონკურენტული განვითარების) სტიმულს. კერძოდ: **1.** მაღალი ფასის დაწესებას აქვს თავისი ზღვარი, იგი შეიძლება გაიზარდოს იქამდე სანამ მომხმარებელი გადახდისუნარიანია. ანუ ვერ გასცდება მომხმარებლის შესაძლებლობის ზღვარს. რაც უფრო მეტი მომხმარებელია ბაზარზე მით მეტია მოგების გაზრდის შესაძლებლობა (მეტი მოგების მიღების შანსი), შესაბამისად, კომპანიის მიზანი რაც შეიძლება მეტი ფასის დაწესება კი არ არის, არამედ ფასის იქამდე გაზრდა სანამ შესაძლებელი იქნება რაც შეიძლება მეტი მომხმარებელი ჰყავდეს (ფასების იმ ზღვრამდე განსაზღვრა რომელიც მას ძირითად მომხმარებელს არ დააკარგვინებს). **2.** კომპანიის მიერ მაღალი ფასის დაწესება/მოგების ზრდა, ინვესტს ბაზარზე არსებული თავისუფალი კაპიტალის მიმართვას ამ სექტორისაკენ (იქით სადაც მეტი მოგების მიღების შანსია). ანუ, პირობითად, დღეს თუ მობილურ ბაზარზე ოპერირებს სამი კომპანია, ფასების ზრდის შემთხვევაში გაჩნდება ბაზარზე დამატებითი კომპანიების შესვლის სურვილი. უფრო მეტიც, შეიძლება გაჩნდეს ბაზარზე ისეთი კომპანიების შესვლის სურვილი, რომელიც მზად არის არსებული ინფრასტრუქტურის პარალელურად თავისი ინფრასტრუქტურა გააკეთოს (მათ შორის, მაგალითად, ფიჭური სისტემის მაგივრად, დანერგონ მობილური მომსახურება რადიო სიხშირეებზე, რომელიც უფრო უსაფრთხოა ჯანმრთელობისთვის) სექტორში. დღევანდელი მიდგომით კი აღნიშნულის განხორციელების სურვილი დაკარგული აქვს როგორც კერძო სექტორს ისე სახელმწიფოს (სტიმული რომ მსგავსი კომპანიების მოსაზიდი გარემო შექმნას ბაზარზე). **3.** დაწესებული ზედა ზღვარი უზღუდავს კომპანიას მეტი მოგების მიღების საშუალებას, რაც ზღუდავს სისტემაში



რეინვესტირების მოცულობას. რეინვესტირების მოცულობის ზრდა კი თავის მხრივ დაკავშირებულია უფრო ეფექტიანი მომსახურების, განახლებული ტექნოლოგიების დანერგვის და შესაბამისად დანახარჯების შემცირების (რაც კონკურენტულ გარემოში ფასის შემცირების საწინდარია) შესაძლებლობებთან. ზემოაღნიშნული მიდგომა, ასევე, ზღუდავს სისტემის მდგრადობას და ბაზარზე ახალი კომპანიების შესვლის სტიმულს (თუ არ იქნა საკმარისი შემოსავალი კომპანიას უბრალოდ არ უღირს ბაზარზე შესვლისათვის რესურსების ხარჯვა. საკმარისი ტარიფის გათვლა კი ფორმულების საშუალებით არ არის ეფექტიანი), რაც თავის მხრივ ზღუდავს კონკურენტულ განვითარებას ბაზარზე.

ზემოაღნიშნული მიდგომის ოპონენტები იტყვიან (გარდა, პუნქტებში მოყვანილი არგუმენტებისა), რომ ეს ყველაფერი თეორიაა და პრაქტიკულად ამის განხორციელება შეუძლებელია/უტოპიაა. ასევე, სახელმწიფო უსაფრთხოებიდან გამომდინარე ესე მარტივად მსგავსი მიდგომების დანერგვა შეუძლებელია. ენერგეტიკისა და კავშირგაბმულობის სისტემების მდგრადობა პირდაპირ კავშირშია ქვეყნის უსაფრთხოებასთან. შესაბამისად, საჭიროა სახელმწიფოსგან კარგად დარეგულირებული სისტემა და ა.შ.

ოპონენტების საპირწონედ შეიძლება ითქვას (გარდა ზემოთმოყვანილი არგუმენტებისა), რომ ყველა მიდგომა თავდაპირველად თეორიაა (დღეს არსებული, პრაქტიკაში დანერგილი მოდელიც თეორია იყო თავიდან), სანამ არ დადგება მისი პრაქტიკაში დანერგვის შესაძლებლობა. თუ ჩანასახი/საფუძველი სწორ თეორიულ მიდგომაზეა დაფუძნებული მაშინ მისი განხორციელება სწორ/ეკონომიკურად და სოციალურად გამართლებულ და ეფექტიან შედეგს მოიტანს. ხოლო თუ საფუძველი არასწორია შედეგიც ეფექტიანი ვერ იქნება (როგორც მეცნიერებაში, არასწორი დაშვებას/საფუძველს მეცნიერული კვლევა არასწორ შედეგამდე მიჰყავს და პირიქით).

ამასთან, ჩვენ კარგად გვესმის ქვეყნის უსაფრთხოების და არსებული მოდელის დანერგვის არგუმენტები. ისიც რომ ზემოაღნიშნული მიდგომის დანერგვა მოითხოვს დიდ სიფრთხილეს და ერთიანად გაუმართლებელია მისი განხორციელება. ჩვენ ვსაუბრობთ, თუ საით უნდა იყოს სისტემის მოწყობის ხედვა მიმართული და როგორი სტიმულები უნდა შექმნას სახელმწიფომ (თუნდაც ეტაპობრივად) სისტემის განვითარებისათვის. სწორი მიდგომის ფარგლებში სახელმწიფო უსაფრთხოების ელემ-

ენტებიც უფრო მყარი, მდგრადი და პროგრესზე ორიენტირებული იქნება.

ჩვენი მოსაზრების გამყარების მიზნით განვიხილავთ კონკრეტული რეგულირებად სექტორებს და წარმოვადგენთ ჩვენს მოსაზრებებს რატომ არის არაეფექტიანი ამ სფეროების ზედმეტად რეგულირება (მითუმეტეს სექტორული მარეგულირებელი უწყების არსებობა და სპეციალური კანონმდებლობით დარეგულირება):

მაგალითად ენერგეტიკის სექტორში:

1. გამომუშავებულ ელექტროენერგიას ვერ ინახავ და იგი აუცილებლად უნდა გაყიდოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უბრალოდ დაკარგავ (შესაბამისად, კომპანია, პირველ რიგში, თავის თავთან არის კონკურენციაში - თუ პროდუქტს დროზე არ გაყიდის უბრალოდ დაკარგავს მას).

2. გამომუშავებული ელექტრო ენერგია შეიძლება სხვა ქვეყანაში გაიტანოს ექსპორტზე, მაგრამ იქაც ვერ გაყიდი იმაზე მეტ ფასში, რა ფასიც მზად არის, რომ გადაიხადოს იქაურმა მომხმარებელმა. თან სხვა ქვეყნის ბაზარზე კონკურენციას აუცილებლად გაგინევს კონკურენტი იმპორტიორები და ადგილობრივი მწარმოებლები. ასევე, ელექტროენერგიის მიწოდების საშუალებები, როგორც წესი, შეზღუდულია და შესაბამისად, სატარიფო პოლიტიკა მოუქნელი/ხისტი.

3. დღევანდელ მსოფლიოში უკვე არსებობს ელექტროენერგიის მიღების როგორც ინდივიდუალური (მზის ბატარეების საშუალებით, რომელიც უზრუნველყოფს ინდივიდუალურად, მთელი სახლის მომარაგებას საჭირო ელექტრო-ენერგიით. მცირე ზომის ჰესები და ა.შ.), ისე გლობალური ალტერნატიული საშუალებები, (ქარის, მზის და ა.შ) რაც უზრუნველყოფს კონკურენციას (აქვე შეიძლება დადგეს საკითხი, რომ ელექტრო ენერგიის მარტო გამომუშავება არ არის საკმარისი მისი მიწოდებაც შეზღუდულიაო, მაგრამ სწორი პოლიტიკის ფარგლებში მიწოდების საშუალებების დივერსიფიცირებაც შეიძლება. მითუმეტეს, რომ ზემოთ ნახსენებ ელექტროენერგიის მიღების ინდივიდუალური საშუალებები არ მოითხოვს რაიმე ერთიან შეზღუდულ მიწოდების სისტემას).

პრაქტიკული მაგალითი მოყვანილ მჯელობასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ უკვე არსებობს:

1. 2016 წელს ჩილეში მზის ენერგიის ჭარბი გამომუშავების გამო მისი ფასი განულდა (2016 წელს ჩილეში მზის ენერგიაზე მომუშავე 29 ელექტრო

სადგური იყო. ქვეყანა მზის ელექტროსადგურების რიცხვის ზრდას 15 ერთეულით აპირებს [47, 48].

2. ფინეთში ქარის გენერატორების მიერ გამო-
მუშავებული ელ. ენერგიის გამო ტარიფმა მკვეთ-
რად დაიკლო - 2020 წლის 17 თებერვალს ელექტრო
ენერგიის ფასმა მინუს 20 ევროცენტი შეადგინა
ერთ მეგავატ საათ ელექტრო ენერგიაზე [49].

3. შვედებმა 2019 წლიდან უკვე დაიწყეს მზის
ენერგიის გადასახური საშუალებების წარმოება
რომელსაც კრამიტის ფორმა აქვს და მისი ფასი ჩვე-
ულებრივი გადასახური მასალის ფასის ტოლია [50].

4. ილონ მასკის კომპანია Tesla-მ 2019 წლიდან
მზის პანელების სახურავების ახალი, მესამე თაობ-
ის, ვერსიის წარმოება დაიწყო. აღსანიშნავია, რომ
კომპანიის განცხადებით მათი უახლესი პანელებით
სახურავის მონტაჟი იგივე ჯდება რაც სტანდარტუ-
ლი მასალით სახლის გადახურვა [51].

5. აღსანიშნავია ასევე, რომ კონსალტინგური
კომპანია „Wood Mackenzie“-ის ენერგეტიკის ექ-
სპერტების განცხადებით 2023 წლისთვის მზის
საშუალებით გამომუშავებული ელექტრო ენერგია
გაზზე უფრო იაფი იქნება [52; 53].

6. 2020 წელის დასაწყისში მეცნიერებმა უკვე გა-
მოიგონეს ხელსაწყო რომელიც შესაძლებელს ხდის
ჰაერისგან ელექტრო ენერგიის გამომუშავებას. ამ
ტექნოლოგიის დახვეწის შედეგად საერთოდ დაკარ-
გავს აზრს ენერგეტიკის სექტორის სპეციფიკური
რეგულირების საკითხი [54].

7. ქუთაისში მზის ენერგიის პანელების მწარმო-
ებელი ქარხანა გაიხსნა [55]. ქარხანა გერმანულმა
კომპანია „ეი სოლარმა“ გახსნა [56], რომელიც
მესამე წელია უკვე წარმატებით ოპერირებს ქარ-
თულ ბაზარზე. აღნიშნული კიდევ ერთხელ მიუთ-
ითებს რომ შესაბამის ბაზარზე კონკურენციის
შეზღუდვაზე საუბარი უკვე გუშინდელი დღეა და
სისტემის სწორად მოწყობის შემთხვევაში სექტო-
რი სპეციფიკურ/განსაკუთრებულ რეგულირებას
არ საჭიროებს.

შესაბამისად, სახელმწიფო პოლიტიკა მიმართუ-
ლი უნდა იყოს არა მკაცრი რეგულირებისკენ არამე-
დ ზემოაღნიშნული ტექნოლოგიების დანერგვის,
რეგულაციების მაქსიმალურად შემცირებისა და
ბაზარზე მეტი კომპანიების შესვლის სტიმულების
შექმნისკენ.

საინტერესოა საქართველოს მაგალითი -
ქვეყნის უახლეს ისტორიაში (90-იან წლებში და
2000-იანების დასაწყისში), გვახსოვს მაგალითები,
როცა ელექტრო ენერგია ექსპორტზე გაჰქონდათ
და ქვეყნის მოსახლეობას უკიდურესად შეზღუდუ-

ლად მიეწოდებოდა (ეს სიტუაცია ოპონენტებმა
შეიძლება გამოიყენონ არგუმენტად, რომ სწორედ
ამიტომ, რომ არ მოხდეს მსგავსი შემთხვევები, აუც-
ილებელია სისტემის რეგულირება). საინტერესოა
აღნიშნული ფაქტზე მსჯელობა:

1. მიუხედავად იმისა, რომ სისტემას ჰყავდა
მარეგულირებელი უწყება ენერგეტიკის სფერო
იყო გაკოტრების/განადგურების ზღურბლზე

2. საქართველოში დაწესებული რეგულაცი-
ებისა და მოშლილი ინფრასტრუქტურის გამო ელ-
ექტროენერგიის გაყიდვა წამგებიანი იყო. შესაბამი-
სად მწარმოებელი ცდილობდა ექსპორტზე გატანას
და საქართველოს მოსახლეობა ელექტროენერგიის
გარეშე იყო დარჩენილი (ასევე, სისტემის წამგები-
ანობის და მოშლილი ინფრასტრუქტურის გამო არ
ცდილობდნენ ეკონომიკური აგენტები ბაზარზე
შესვლას ან ინვესტიციების განხორციელებას).

3. როგორც კი სისტემაში დაინერგა მეტნაკ-
ლებად სწორი თამაშის წესები (მათ შორის ფასის
განსაზღვრის მეტად სწორი/ეფექტიანი მექანიზმი)
და მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა, ქვეყნის ენერ-
გოსისტემა გახდა მდგრადი და ელექტროენერგიის
დეფიციტი აღმოიფხვრა ქვეყანაში (2004-2005 წლი-
დან).

შესაბამისად, განხორციელებული/განსახორცი-
ელებელი რეფორმების/საქმიანობის პარალელუ-
რად თუ მოვახდენთ ელექტრო ენერგიის როგორც
წარმოების ისე მიწოდების წყაროების დივერსიფი-
ცირებას და უზრუნველყოფთ კომპანიების დაშ-
ვების თავისუფლებას არა რეგულირების, არამედ,
უბრალოდ, სისტემის თამაშის წესებში არჩარევის
მეშვეობით, მწარმოებელი და მიმწოდებელი კომპა-
ნიები ვერ შეძლებენ ფასების თავის ნებაზე დაწე-
ვას. პირიქით, სისტემა გახდება უფრო მოქნილი,
ეფექტიანი და მივიღებთ უკეთეს მომსახურებას
შესაძლებლად დაბალ (ბაზარზე არსებული სიტუ-
აციიდან გამომდინარე ოპტიმალურ) ფასში.

**რაც შეეხება კომუნიკაციებისა და მაუწყებლო-
ბის სფეროს.**

პოსტინდუსტრიულ ერაში, მაშინ, როცა კომუ-
ნიკაციის უამრავი საშუალება არსებობს, რატომ
უნდა გვქონდეს ესეთი მკაცრი მარეგულირებელი
კანონმდებლობა და სექტორული მარეგულირებე-
ლი კომუნიკაციების სექტორში გაუგებარია. ას-
ევე, დასაზუსტებელია მაუწყებლობის სექტორის
არსებული ფორმით რეგულირების საჭიროების
საკითხი. რატომ არის მაუწყებლობის ბაზარზე
კონკურენციის ხელოვნური ჩარევით რეგულირე-
ბის აუცილებლობა მაშინ, როცა, დღესდღეობით,



ინფორმაციის გავრცელების, გადაცემების შექმნისა და საზოგადოებისთვის მიწოდების სხვადასხვა ალტერნატივები არსებობს (როგორც ინტერნეტით ისე „სიხშირული მაუნყებლობით“).

კომუნიკაციებისა და მაუნყებლობის არსებული ფორმით რეგულირება აზრს კარგავს იმ ფონზე, როცა დაგეგმილია, უახლოეს მომავალში (2020-2021 წლისთვის) მთელი დედამიწაზე უფასო ინტერნეტის მიწოდება - ილონ მასკმა² უკვე განაცხადა, რომ იგი აპირებს მთელ დედამიწას უფასო ინტერნეტი მიანოდოს. მასკის მიერ დაფუძნებულმა კომპანია SpaceX-მა უკვე გაუშვა 60 თანამგზავრი ორბიტაზე. პროექტის ფარგლებში, იმისათვის, რომ მთელ დედამიწას მაღალი სიჩქარის - 1GB/წმ ინტერნეტი მიეწოდოს, დაგეგმილია, ორბიტაზე ჯამში, 12,000 თანამგზავრის გაშვება [44, 45, 46]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ კონკურენტული გარემოს შექმნა შესაძლებელია მათ შორის ე.წ. რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში ისე, რომ სახელმწიფოს ჩარევისა და რეგულაციების გარეშე (მინიმალურად ჩარევის) მივიღოთ ოპტიმალური, ჯანსაღი ბაზრისთვის დამახასიათებელი სიტუაცია.

დასკვნა

დასკვნის სახით ვიტყვი, რომ:

1. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ქვეყანაში კონკურენციის პოლიტიკის ზედამხედველობა განახორციელოს ერთმა პასუხისმგებელმა ორგანომ, კონკურენციის სააგენტომ, ეკონომიკის ყველა სფეროში. მათ შორის, რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში.

2. კონკურენციის მარეგულირებელ ჩარჩო კანონით უნდა განისაზღვროს კონკურენციის რეგულირების ძირითადი დებულებები ყველა სექტორში და მასთან შესაბამისობაში უნდა მოვიდეს ყველა კონკრეტული/სპეციფიკური კონკურენციის მარეგულირებელი დებულება.

2 ილონ რივი მასკი — ამერიკელი ბიზნესმენი, გამომგონებელი და ინვესტორი; SpaceX-ის დამფუძნებელი, აღმასრულებელი დირექტორი და წამყვანი დიზაინერი; Tesla, Inc.-ის თანადამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი; x.com-ის თანადამფუძნებელი, რომელსაც დაფუძნებიდან ერთი წლის შემდეგ შეეცვალა სახელი და დაერქვა PayPal.

3. უნდა გაუქმდეს რეგულირების საფასური, რომელიც მარეგულირებელი ორგანოებისათვის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს. მარეგულირებელი ორგანოები უნდა გადავიდეს საბიუჯეტო დაფინანსებაზე.

4. მიზანშეწონილია კონკურენციის რეგულირების საკითხის კონსტიტუციით განსაზღვრა (მითუმეტეს, რომ იქვე მითითებულია გამოწვევისა „გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა“).

5. მიზანშეწონილია გაუქმდეს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით საქმიანობაში მონოპოლიური მდგომარეობის დაუშვებლობის დებულება.

6. გაიმართოს მსჯელობა კონკურენციის კანონმდებლობის, მათ შორის რეგულირებადი ეკონომიკური სფეროების მარეგულირებელი კანონმდებლობის, შემდგომი ლიბერალიზაციისათვის (და არა დამატებითი მარეგულირებელი დებულებების შემოღებისა და კიდევ უფრო გამკაცრებისათვის) და აღნიშნული მიმართულებით დაიხვეწოს კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობა.

ამრიგად შეიძლება ითქვას, რომ რეგულირებადი ეკონომიკური სფეროები, დღესდღეობით შემოღებული რეგულაციების მძევალია.

შესაბამისად, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან, ქვეყნის ეკონომიკური ზომისა და გეოპოლიტიკური გამონეგებებიდან გამომდინარე, ქვეყანას არ ესაჭიროება რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში დღეს არსებული კონკურენციის რეგულირების მკაცრი მექანიზმები (მითუმეტეს, რომ ნორმატიული ბაზა/რეფორმები რეგულირების კიდევ უფრო გამკაცრებისკენ არის მიმართული, იშვიათი გამონაკლისის გარდა). რეფორმები უნდა იყოს მიმართული რეგულირების მექანიზმების შემსუბუქებისკენ და არა გამკაცრებისკენ. სისტემა უნდა მოეწყოს ისე რომ კონკურენციის ხელოვნურად რეგულირების საჭიროება უფრო და უფრო მცირდებოდეს (კონკურენციის რეგულირების მიზნით, სფეროში სახელმწიფო მხრიდან ჩარევა ხდებოდეს მინიმალურად, გარდაუვალად აუცილებელ შემთხვევებში. სისტემა უნდა აიგოს ისე, რომ არ უნდა იყოს სახელმწიფო რეგულირების საჭიროება).

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია
2. საქართველოს კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“
3. საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ“
4. საქართველოს კანონი „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“
5. საქართველოს კანონი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“
6. საქართველოს კანონი „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“
7. საქართველოს კანონი „რეგულირების საფასურის შესახებ“
8. საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“
9. საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“
10. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“
11. საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“
12. საქართველოს კანონი. „დაზღვევის შესახებ“
13. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“
14. საქართველოს კანონი „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“,
15. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 დეკემბრის #1551 განკარგულება „კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“
16. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის, 2014 წლის 30 ივლისის №14 დადგენილება „ელექტროენერგიის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“
17. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 10 აგვისტოს № 21 დადგენილება „წყალმომარაგების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“
18. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 25 დეკემბრის №33 დადგენილება „ბუნებრივი გაზის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“
19. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილება/კვლევა (მიღებულია 2011 წლის 25 იანვარს) [134] „მოძრავი საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუნიკაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყების/ დასრულების) საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ“ <http://www.gncc.ge/ge/legal-acts/solutions/2011-26-9.page>
20. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2010 წლის 6 ივლისის #3 დადგენილებით დამტკიცებული დებულება „სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის შესახებ“. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1030770?publication=0>
21. Karchava, L. and Kutaladze, E., 2020. Tourism as one of the priority directions in Georgia/ტურიზმი როგორც ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება საქართველოში. The New Economist, 15(2, 2020), pp.1-1.
<http://www.neweconomist.com.ge/journal/article/Tourism-as-one-of-the-priority-directions-in-Georgia-turizmi-rogorc-erT-erTi-prioritetuli-mimarTuleba-sakarTveloSi-1603913380>
22. Karchava, L., 2014. Again about the investment environment in Georgia Or what kind of investor do we need?/ისევ საინვესტიციო გარემოს შესახებ საქართველოში ანუ როგორი ინვესტორი გვჭირდება?. The New Economist, 9(3, 2014), pp.1-1.
<http://neweconomist.com.ge/journal/article/Again-about-the-investment-environment-in-Georgia-Or-what-kind-of-investor-do-we-need-1597473717>
23. Karchava, L., 2018. Theoretical basics of business communication and Its connection with other sciences/ ბიზნესკომუნიკაციების თეორიული საფუძვლები და მისი კავშირი სხვა მეცნიერებებთან. The New Economist, 13(3, 2018), pp.1-1.
<http://neweconomist.com.ge/journal/article/bizneskomunikaciebis-Teoriuli-sapuZvlebi-da-misi-kavSiri->



sxva-mecnierebebTan-1594468243

24. Karchava, L., 2012. Business-communications. Tbilisi, Loi, 328.
25. Lomia, E., 2020. „ახალი მსოფლიო წესრიგის“ ისტორიული ნარატივები. The New Economist, 15(1, 2020), pp.1-1.
26. Lomia, E., 2020. The Evaluation of Russia's foreign policy towards Georgia following the 'Rose Revolution'. Journal of Liberty and International affairs, 6(1), pp.112-128.
27. Lomia, E., 2017. The United States-Russia Relations Before and After Russia's Intervention in Georgia and Ukraine.
28. Lordkipanidze R. Objective Laws from Wise Competition and Marathon of Life for Strengthen INTERPOL. - By studying of scientific courses at Harvard, St. Petersburg and I. Javakhishvili Tbilisi Universities: 2021: 726. <http://dx.doi.org/10.13140/RG.2.2.13704.24320>
29. Lordkipanidze R. Practical application of my 700 works at the Researchgate <http://dx.doi.org/10.13140/RG.2.2.26557.49125>
30. Lordkipanidze R. For creation (with UN assistance) anti-pandemic and anti-conflict economic zones "Wealth Catalyzing". - Theses on Law, Economic Policy and Money: Issue N3: 2021. <http://dx.doi.org/10.13140/RG.2.2.28326.96325>
31. Mgeladze, L., 2020. Future Economy and Georgia/მომავლის ეკონომიკა და საქართველო. The New Economist, 15(2, 2020), pp.1-1.
32. Mgeladze, L., 2020. მკვდრადმოხილი საჯარო სამსახურის მაკოორდინირებელი ინსტიტუტი. The New Economist, 15(1, 2020), pp.1-1.
33. Mgeladze, L., 2019. ეროვნული ვალუტა საქართველოში, ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელი თუ ხელშემწყობი ინსტრუმენტი. The New Economist, 14(2, 2019), pp.1-1.
34. Lasha Tabatadze, „The New Vision of Modern Management Theory“, The New Economist, No 1-2 (2020), Vol 15, Issue 1;
35. Lasha Tabatadze, „The Evolution of Management Theories“, The New Economist No 3-4 (2019), Vol 14, Issue 2;
36. სლავა ფეტელავა, „კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში“ - გამომცემლობა „ლოი“, თბილისი, 2007 წელი, 276 გვ.
37. სლავა ფეტელავა, თამარ გამსახურდია, „ენერგო და ეკო სამართალი“ - გამომცემლობა „ლოი“, თბილისი, 2010 წელი, 412 გვ.
38. ლაშა მგელაძე, „კონკურენციის პოლიტიკის გამოწვევები და მისი სრულყოფის გზები“ - გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2020 წ. 276 გვ.
39. ლაშა მგელაძე - სტატია „კონკურენციის პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაციის ასპექტები საქართველოში“; საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“ 2016წ. #3
40. ლაშა მგელაძე - „კონკურენციის პოლიტიკის ხარვეზები და მათი დაძლევის გზები“, პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „კონკურენციის პოლიტიკა: თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები“, 2017 წ. (ორგანიზატორები – სსიპ საქართველოს კონკურენციის სააგენტო, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს კონკურენციის ინსტიტუტი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი).
- მოხსენება გამოქვეყნებულია შრომების კრებულში: პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „კონკურენციის პოლიტიკა: თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები“, თბილისი, 2017 წელი. გვ. 160-168
41. ლაშა მგელაძე - „კონკურენციის პრობლემატიკა სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში“, მეორე საერთაშორისო კონფერენცია „კონკურენციის პოლიტიკა: ტენდენციები და გამოწვევები“, 2018წ. (ორგანიზატორები – სსიპ საქართველოს კონკურენციის სააგენტო, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ევროკავშირის საქართველოსთვის).
- მოხსენება გამოქვეყნებულია შრომების კრებულში: კონკურენციის პოლიტიკის მეორე საერთაშორისო კონფერენცია „კონკურენციის პოლიტიკა: ტენდენციები და გამოწვევები“, თბილისი, 2018 წელი, გვ.97-112

42. ლაშა მგელაძე - სტატია „კონკურენციის პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაციის ასპექტები საქართველოში“; საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“ 2016წ. #3
43. ლაშა მგელაძე - „კონკურენციის ევოლუცია და კონკურენციის თანამედროვე პოლიტიკის კრიტიკოსები“, ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“, #3-4. 2018 წელი, გვ. 166-170
44. ილონ მასკმა დედამიწის უფასო ინტერნეტით დაფარვა დაიწყო - <https://reginfo.ge/offload/item/5336-ilon-maskma-upaso-internetit-planetis-daparva-daixybo>
45. კერძო აეროკოსმოსურმა კომპანია SpaceX-მა, 2018 წელს, ორი თანამგზავრი გაუშვა ორბიტაზე, დედამიწაზე უფასო ინტერნეტის დანერგვის პროექტის ფარგლებში - <https://www.palitravideo.ge/yvela-video/skhvadaskhva/93092-ufaso-da-stsrafi-interneti-msoflios-elon-maskis-akhali-iniciativa.html>
46. კერძო აეროკოსმოსურმა კომპანია SpaceX-მა, 2019 წელს, ორბიტაზე 60 თანამგზავრი გაუშვა, დედამიწაზე უფასო ინტერნეტის დანერგვის პროექტის ფარგლებში - <https://www.marketer.ge/space-x-orbit-starlink-60/>
47. ბლუმბერგის ვებ გვერდი
<https://www.bloomberg.com/news/articles/2016-06-01/chile-has-so-much-solar-energy-it-s-giving-it-away-for-free>
48. საინფორმაციო ვებგვერდი „BUSINESS MEDIA GEORGIA“, „ჩილეში მზის ენერგიის ჭარბი გამოშვების გამო, მისი ტარიფი განულდა“ <https://www.bm.ge/ka/article/chileshi-mzis-energiis-charbi-gamo-mushavebis-gamo-misi-tarifi-ganulda/4060>
49. ქარის გენერატორების მიერ გამოშვებული ელექტრო ენერგიის გამო ფინეთში ელექტრო ენერგიის ფასმა რეკორდულად დაიკლო https://www.rosbalt.ru/world/2020/02/18/1828668.html?fbclid=IwAR3PeSy7x_wH3CeZbO5jkrWPqk-3p5KYXgedvnY_wSyVDG_AzZKuStzZ64E
50. შვედებმა დაიწყეს მზის ენერგიის გადასახური საშუალებების წარმოება რომელსაც კრამიტის ფორმა აქვს - <https://building-tech.org/шведы-начали-производство-солнечных/?fbclid=IwAR3iKaBGHbceruFB-8DMDPNKJSytk5omiwYXnGrv5voT9DDvN2WxzXeuajS>
51. ტესლამ მესამე თაობის მზის პანელი სახურავები გამოუშვა - https://popx.ge/article/4498-tesla-mzis-panelebis-sakhuravebis-carmoebas-ramdenime-dgheshi-daicqebis?fbclid=IwAR1hfGBUHEoLl7JLlIo7YTv vga2H_mc0KldnPNLl79xs_u3EeuhtSLNt1QhY
52. 2023 წლისთვის მზის საშუალებით გამოშვებული ელექტრო ენერგია გაზზე უფრო იაფი იქნება https://building-tech.org/k-2023-godu-solnechnaya-energiya-budet-deshevle-gaza-po-vsemu-miru/?fbclid=IwAR2OyoMbNl0kEgPmwqjCG-oLNqEGbbrDjcaoyhspPxUSJi5qukQAwe_qMCg
53. კონსალტინგური კომპანია Wood Mackenzie-ის ოფიციალური ვებ-გვერდი <https://www.woodmac.com>
54. გამოგონება: ახალი ხელსაწყო ელექტრო ენერგიას ჰაერიდან გამოიმუშავებს - <https://www.amerikiskhma.com/a/galileo-electricity-generated-from-air/5294977.html?fbclid=IwAR18L3I5deSI4kO9V6D17DltUBoLN38VtWoXR6n5DlGwPt9C72BDT7L7nts>
55. ქუთაისში მზის ენერგიის პანელების მწარმოებელი ქარხანა გაიხსნა - https://iberiana.wordpress.com/2020/02/22/kutaisi/?fbclid=IwAR1aZlkStSIYRTjjeLz_SptgLnYidQH7o4k2Qimz-gBErp1BvklwbCO3yZ8
56. გერმანული კომპანია „ეი სოლარი“-ს ოფიციალური ვებ-გვერდი - <https://ae-solar.com>